

შპს ჯორჯიან ბაზალტი
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2019
 '000 ლარი

აქტივები	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული და ფულის ეკვივალენტები		424	186
სავაჭრო მოთხოვნები		430	347
გადახდილი ავანსები		-	1
მარაგები		904	768
სხვა მოკლევადიანი აქტივები	4	218	
ძირითადი საშუალებები	3	2,953	3,696
არამატერიალური აქტივები		24	27
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	306
სულ აქტივები		4,953	5,331
სავაჭრო ვალდებულებები		73	87
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	14
საგადასახადო ვალდებულებები		25	87
სხვა ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		98	188
კაპიტალი		4,852	4,852
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		3	291
სულ საკუთარი კაპიტალი		4,855	5,143
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		4,953	5,331

შპს ჯორჯიან ბაზალტი
 საქმიანობის შედეგი
 31 დეკემბერი, 2019
 '000 ლარი

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან		3,028	3,040
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(1,991)	(1,827)
საერთო მოგება		1,037	1,213
ადმინისტრაციული, მიწოდების და სხვა საოპერაციო ხარჯი		(791)	(637)
საპროცენტო ხარჯი		(4)	(2)
საპროცენტო შემოსავალი		15	8
სხვა შემოსავალი		-	-
სულ საოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)		(780)	(631)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე		257	582
მოგების გადასახადი		-	-
მოგება/(ზარალი)		257	582
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)		257	582

შპს ჯორჯიან ბაზალტი
კაპიტალის მოძრაობა
31 დეკემბერი, 2019
‘000 ლარი

1 იანვარი, 2019

საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	5,143
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	(545)
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	257
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,855
31 დეკემბერი, 2019	

შპს ჯორჯიან ბაზალტი
 ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
 31 დეკემბერი, 2019
 '000 ლარი

	2019	2018
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	811	874
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(469)	(388)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(104)	(300)
წმინდა ზრდა/(კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	238	186
სავალუტო კურსის ეფექტი	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	186	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	424	186

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია:

შპს ჯორჯიან ბაზალტი შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართია: თბილისი, გაზაფხულის ქუჩა #18. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა: ინერტული მასალების მოპოვება და გადამამუშავება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ათას ლარში).

შემოსავლის აღიარება:

შემოსავალი რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგები აღიარდება წრფივი მეთოდით. მისი შეფასება ხდება წმინდა ღირებულებით, დღგ-ისა და ფასდაკლებების გარეშე. შემოსავალი იზომება, როგორც გაყიდვის შედეგად მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება.

ძირითადი საშუალებები:

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია როგორც ღირებულებას გამოკლებული აკუმულირებული ცვეთა და სადაც საჭიროა გაუფასურების რეზერვი. ძირითადი საშუალებების ცვეთის კალკულაცია ხდება წრფივი მეთოდით, რათა ღირებულება განაწილდეს მათ სასარგებლო სასიცოცხლო ვადაზე ნარჩენ ღირებულებამდე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და მათ პროცენტი არ ერიცხება.

3. ძირითადი საშუალებები:

	ძირითადი საშუალებები
თვითღირებულება (‘000 ლარი)	
1 იანვარი, 2019	4,233
31 დეკემბერი, 2019	4,001
დაგროვილი ცვეთა	
1 იანვარი, 2019	(537)
31 დეკემბერი, 2019	(1,048)
საბალანსო ღირებულება	
1 იანვარი, 2019	3,696
31 დეკემბერი, 2019	2,953

ვინაიდან მოსალოდნელია, რომ არსებული ძირითადი საშუალებების გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსულობა გადააჭარბებს აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებას, არ მომხდარა გაუფასურების ზარალის აღიარება.


4. სხვა მოკლევადიანი აქტივები:


სხვა მოკლევადიანი აქტივები მოიცავს მოთხოვნებს მშობელი კომპანიების მიმართ.

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

16 სექტემბერი, 2020


ხელმოწერა
ლევან გოგოლაძე
დირექტორი


ხელმოწერა
ნუსა ხაჩიძე
მთავარი ბუღალტერი

5. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები:

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

16 სექტემბერი, 2020

ხელმოწერა

დირექტორი

ხელმოწერა

მთავარი ბუღალტერი